საქართველოს
ფოლკლორის
სახელმწიფო
ცენტრი

2017 წლის IV კვარტლის ანგარიში

❖ 5 ოქტომბერს შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში გაიხსნა სალოტბარო სკოლა; სალოტბარო სკოლის გახსნას ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, ინგა შამილიშვილი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი, გიორგი დონაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ტარიელ ებრალიძე და სხვები

❖ 2-6 ოქტომბერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალისტები, - ეთნომუსიკოლოგები ნანა ვალიშვილი და თეა კასაბური, ფოტოგრაფი გიორგი მექვაბიშვილი და მძღოლი ნიკოლოზ ირემაშვილი, - იმყოფებოდნენ ცაგერში, ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის, ფონდ „ქართული გალობის“ ნომინანტის, რაფიელ კოპალიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფიისათვის მასალების მოსაპოვებლად

❖ 10 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მგალობელ-მომღერალთა ანსამბლ „შემოქმედის“ პირველი აუდიო ალბომის წარდგენა. ალბომი გამოიცა საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ ორგანიზებით და ხელშეწყობით. პრეზენტაციას ესწრებოდა დაახლოებით 280-მდე ადამიანი

❖ 11 ოქტომბერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა ,,შემოდგომა 2017" .
გალერეაში წარმოდგენილი იყო 70-მდე ავტორის ნამუშევრები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 250-მდე ადამიანმა.

❖ 24 ოქტომბერს ფოლკლორის ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის მზია ნახუცრიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.
გამოიფინა ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული 100-მდე ნამუშევარი - ნატურმორტი, კომპოზიცია, პორტრეტი. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 250-მდე ადამიანმა.

❖ 7 ნოემბერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა მიხეილ ხერგიანის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო მიხეილ ხერგიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა, სვანი მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 300-მდე ადამიანმა.

❖ 21 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა პროფესიონალი მხატვრის ლანა მინდელის ნახატების პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აკრილში შესრულებული 70-მდე აბსტრაქტული ფერწერული ტილო. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 300-მდე ადამიანმა.

❖ 24 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონების სალოტბარო სკოლების 2015-2017 წლების კურსდამთავრებულთა სასერტიფიკატო გამოცდა.

კომისიის წევრები: ცენტრის დირექტორი გიორგი დონაძე (თავმჯდომარე); ცენტრის თანამშრომლები: თეონა რუხაძე, ლევან ვეშაპიძე და უჩა დვალიშვილი. გამოცდაში მონაწილეობდნენ ოზურგეთის ზესტაფონის ამბროლაურისა და თეთრიწყაროს სალოტბარო სკოლების კურსდამთავრებულები, სულ - 8 მოსწავლე. მოსწავლეებმა გამოცდა წარმატებით ჩააბარეს და გამომცდელთა მოწონებაც დაიმსახურეს. კურსდამთავრებულებს გადაეცათ სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები: ფოლკლორის ცენტრისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის გამოცემები, ვიდეო და აუდიო ალბომები.

❖30 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ფონდმა „ქართულმა გალობამ" გამართა ანსამბლ „ელესას" მეორე აუდიოალბომის წარდგენა. პრეზენტაციას ესწრებოდა 200-მდე ადამიანი.

❖8 დეკემბერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ზურაბ ბერსენაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა მიმართულება - ტიხრული და ვიტრაჟული მინანქარი, ჭედურობა, ფერწერა, გრაფიკა. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 300-მდე ადამიანმა.

❖21 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ,,დანტე ალიგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტის" საახალწლო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ,,დანტეს ხელოვნების სკოლის" მოსწავლეების ფერწერული, სკულპტურული და ხელოვნების სხვა დარგის ნამუშევრები. გამოფენა დაათვალიერა დაახლოებით 230-მდე ადამიანმა.

❖27 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ,,გალერეაში" გაიხსნა
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის მოსწავლეთა ხელნაკეთი ნამუშევრების
გამოფენა.

გამოიფინა თექა, ფერწერა, კერამიკა, თიხა, დეკორატიულ სტილში შესრულებული
ნამუშევრები, ასევე მოსწავლეების მიერ გადაღებული ფოტოები

• მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე -„ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.

• მიმდინარეობს მუშაობა ქართული ფოლკლორის ღვაწლმოსილი მკვლევრის, შალვა ასლანიშვილის ხელნაწერ შრომას ,,ზემო და მთის რაჭის ხალხური სიმღერები" (1950წ.), რომელიც ცენტრის არქივშია დაცული (ნაშრომში განხილულია 1949 წელს ზემო რაჭაში მეცნიერის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ექსპედიციაში მოპოვებული მასალები. შრომას ახლავს 11 სიმღერის სანოტო ჩანაწერიც).

• მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

• მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.